

თამაზ გოდერძიშვილი

გადმოქართულებული კიესები



გამომცემლობა „კონტაქტი“
თბილისი
2020

ანტონ ჩეხოვი

გელის სიმღერა

პროვინციული თეატრის სცენა სპექტაკლის შემდეგ. შუალაძეა. ბნელა. სიღრმეში გამოჩნდება აქტიორი, რაღაცას წამოედება, შეტორტმანდება, წონასწორობას ძლივს შეიკავებს, სადღაც სანთელს იპოვნის, ანთებს, თან გულიანად იცინის.

აქტიორი – ამასაც მოვესწარი: ჩამძინებია!! სპექტაკლის შემდეგ, დახარჯული ენერგია რომ აღვიდგინო, ცოტაოდენ კონიაკს გეახლებით. ეტყობა, დღეს ვერ გამოვზომე. მეტი მომსვლია, სავარძელში ჩამძინებია. ტახტზე მაინც წამოვწოლილიყავი... გრიმიც არ მომიხსნია და არც ეს ჯამბაზის კოსტიუმი გამიხდია! *(ყვირის)* ეჰეი, არის აქ ვინმე? *(სიჩუმე)* რა თქმა უნდა, ყველა წასულა, სინათლეც გაუთიშიათ. *(აყირაგებულ ტაბურეტს წამოედება. აიღებს, დაჯდება, სანთელს იატაკზე დადებს)* იმდენი რამ დამალევინა, დამჯდარს რომ ჩამძინა?! ასე მარტო როგორ დამტოვეს მოხუცი კაცი! ეჰ-ეჰ-ეი! *(პაუზა)* მხოლოდ ექო პასუხობდა განწირულ ძახილს!! თავი მისკდება, გულ-შუცველი მეწვის. სულელი არა ვარ ახლა მე? დავითვერი და მიზეზიც კი არ ვიცი, ეს რატომ ჩავიდინე. შე კაი კაცო, ჯანმრთელობას თუ არ უფრთხილდები, ასაკს მაინც ეცი პატივი, სიბერე მაინც შეიბრაღე, შე მართლაც ტაკიმასხარავ! *(პაუზა)* სიბერე... სიბერე. რა უსიამო სიტყვაა... როგორც არ უნდა მოიქცე, გინდ თავი გაიმხნევე, გინდ ითვალთმაქცე, გინდა იხუმრე და პასპორტშიც ნულარ ჩაიხედავ, რეალობას მაინც ვერსად გაექცევი; ცხოვრება დამთავრებულია! სამოცდარვა წელი... სამოცდარვა! სად, როდის, როგორ გაფრენილა? მე შენ გეტყვი, დაგიბრუნდება. შესძული და დაცლილია სიცოცხლის არსი, ბოთლის ფსკერზე დარჩენილა ორიოდ ყლუპი და ისიც თხლე!! სიმათლე თუ გინდა, ეს არის. უკვე დროა, მიცვალებულის როლის რეპეტიციები დავიწყო. სიკვდილი საცაა კარზე მომიკაკუნებს. *(ჩაბნელებულ სივრცეს მიაშტერდება)* არა და, ამ სცენაზე უკვე ორმოცდახუთი წელია ვთამაშობ. ორმოცდახუთი წელია ვთამაშობ და, არ დამიჯერებთ, თეატრს ღამით მხოლოდ პირველად ვხედავ. რაც უნდა გაიკვიროთ, მაინც ასეა; პირველად ვხედავ! გაგიჟდება კაცი! *(რამპასთან ძღის)* ვერაფერს ვარჩევ. ეს სუფლიორის ჯიხური ჩანს. ლიტერის

ლოჟასაც ვხედავ. სხვა ყველაფერი სიშავეშია დანთქმული. შავი უძირო ორმო იმ სამარეს ჰგავს, სადაც მისი უდიდებულესობა თვით სიკვდილი იმალება. ო, რა სიცივეა! დარბაზიდან ისე უბერავს, როგორც ბუხრის გამწოვი მილიდან. ზედგამოჭრილი ალაგია სულთა გამოსაძახებლად. შემზარავია აქაურობა, სატანის წილი! ტანში შიშის ჭიანჭველებმა დამირბინეს. *(ყვირის)* ეჭვი! სადა ხართ? ეშმაკმა წაგიღოთ ყველანი? უფალო შემინდე. რა სატანა და ეშმაკი ამიტყდა. შეეშვი, მოხუცო, ასეთ სიტყვებს. სმასაც შეეშვი. უკვე დაბერდი და სიკვდილიც მოგიახლოვდა. ჩემი ხნის ხალხი დილის ლოცვებსა და წირვებს არ აცდენს, აღსარებასა და ზიარებაზეც დადიან, სიკვდილისთვის ემზადებიან, განწმენდას ესწრაფიან, შენ კი... უწმინდური გამოთქმები, ლოთის სიფათი, ტაკიმასხარას კოსტიუმი! საზარელია ეს ყველაფერი. წავალ, საჩქაროდ გამოვიცვლი ტანსაცმელს. მთელ ღამეს აქ თუ გავათენებ, დილაძღე სული გამძვრება. *(კულისებისკენ მიდის. შედგება)* არა და, რა დრო იყო, რა დრო იყო! ერთხელ თექვსმეტჯერ გამომიძახეს, სამი გვირგვინი მომართვეს, სამივე დაფნის; ყვავილებსა და საჩუქრებს თვლა არა ჰქონდა, აღფრთოვანებს კი – საზღვარი! დღეს? დღეს კი არავის აზრდაც არ მოსვლია, გაელვიძებიანა მთვრალი მოხუცი და შინ წაყვანა. ბებერი ვარ, ბებერი, ძმებო, სამოცდარვა წლისა. ავადაც გახლავართ. ღამის ამომხდეს ჩემი სუსტი, უძწეო სული. *(მიდის)* დავბერდი, დავჩაჩანაკდი. სიკვდილის დრო დამიდგა... თანაც მეშინია, ძალიან მეშინია. *(უცებ შემობრუნდა)* ეს ვინ მომამახა, შინ წადიო? არა, შინ არ წავალ! არ მინდა! არა მაქვს სახლი, არა მაქვს, არა! ანდა იქ რა ვაკეთო? იქაც მარტო ვარ, არავინა მყავს ხმის გამცემი, არც ღვიძლნი ჩემნი, არც დედაბერი და არც ბავშვები. მარტო ვარ, მარტო, მინდვრის ქარივით, აი, მოკვდები და არავინ გამიხსენებს. მეშინია ამ სიმარტოვის. არვინ გამათბობს, არავინ მომიფერება, მთვრალს ქვეშაგებში არვინ ჩამაწვენს. ნეტა ვისი ვარ? ვის დაგკარგვივარ ან ვინ დამეძებს? ვიღას ვჭირდები? ვის ვუყვარვარ? არავის, ჩემო! აღარავის აღარ ვუყვარვარ. ვიცი, მეტყვიით, მაყურებელს უყვარხარო, მაგრამ იცრუებთ. ხომ დაინახეთ, მაყურებელი დღეს როგორ მოიქცა? ყველა შინ წავიდა, ტკბილად ივახშმეს, დაიძინეს და არავის გავხსენებევარ. არცერთ მათგანს არ გაახსენდა თავისი

საბრალო ტაკიმასხარა. ყველას დაავიწყდა, რომ კაცი ვარ, კაცი, ადამიანი; რომ ცოცხალი ვარ და ძარღვებშიც სისხლი მიჩქეფს და არა წყალი. ტრაბანში ნუ ჩამომართმევთ და ეს სისხლი, ჩემი სისხლი ცისფერია. ჩემი წინაპრები თავადები იყვნენ. ვიდრე ამ ორმოში ჩავვარდებოდი, იუნკერი ვიყავი: მოხდენილი, პატიოსანი, გამბედავი, მამაცი, ფიცხი! ღმერთო, ო, ღმერთო, სად გაქრა ეს ყველაფერი? მერე? მერე რა მსახიობი, რა ოსტატი, რა საუცხოო აქტიორი დავდექი?! ო, ღმერთო, უფალო ჩემო, სად გაქრა ის დრო, ის ჟამი? აი, ჩავიხედე ამ შავ ორმოში და ყველაფერი გამახსენდა. ამ ღრმა და უძირო შავმა ხვრელმა შთანთქა ჩემი სიცოცხლის ორმოცდახუთი წელი. და მერე რა წლები! ახალგაზრდობით, რწმენით, ჭაბუკური გზებითა და უღამაზეს ასულთა სიყვარულით სავსე! როცა კარიერას ვიწყებდი, როცა დაიწყო ჩემი ტრიუმფალური სვლა ამ სცენაზე, ერთმა უღამაზესმა გოგონამ შემიყვარა, ჩემი ოსტატობითა და თამაშით გაოგნებულმა. ო, რა კოხტა, მოხდენილი, უბიწო, სუფთა, რა მგზნებარე იყო, ზაფხულის გარიჟრაჟივით! მისი ცისფერი თვალების შემოხედვასა და ზღაპრულ ღიმილს ვერავითარი უკუნეთი და ღამე ვერ გაუძლებდა. იმ დღეს ისეთი უნაკლო და მშვენიერი იყო, საფლავშიაც მემახსოვრება. ამ სილამაზით მოხიბლულმა და ბედნიერმა მუხლი მოვიყარე მის წინაშე და ხელი ვთხოვე... *(იმედეაცრუებით)* მან კი... მითხრა: სცენას თავი დაანებეო! სცენას თა-ვი და-ა-ნე-ბე-თ! გესმით? მსახიობის სიყვარული შეეძლო, ცოლობა კი – არა!! კარგად მახსოვს, იმ დღეს ფლიდ უნამუსოს ვთამაშობდი... ვთამაშობდი და ვიგრძენი, როგორ ამეხილა თვალი. ვიგრძენი, რომ არავითარი წმინდა ხელოვნება არ არსებობს, რომ ყოველივე სიცრუე და ბოდვას; რომ მე ვარ მონა, სათამაშო უსაქმურთა ხელში, მანჭია და იონბაზი! მაყურებელიც იმ დღეს შევიცანი და მას შემდეგ არც ტაშის გრიალისა მჯერა, არც გვირგვინებისა და არც ალტაცებისა! ტაშს კი მიკრავს, ჩემს ფოტოსურათებსაც ათობით ყიდულობს, მაგრამ უცხო ვარ, გარეშე პირი, ჭუჭყი, ტალახი! პატივმოყვარეობის გამო ჩემთან ურთიერთობას ეძებს, მაგრამ თავს ისე არ დაიმცირებს, საკუთარი და ან ქალიშვილი მომათხოვოს! არ მჯერა მათი! *(ტაბურეტზე დაჯდება)* აღარა მჯერა! თვალი ამეხილა-მეთქი, გითხარით, მაგრამ ძალიან ძვირი დამიჯდა

ეს გამოფხიზლება. იმ გოგონასთან ხსენებული ამბის შემდეგ ხელიდან წავედი; ამო ცხოვრებით ვიცხოვრე, მომავლისკენ არც ვიყურებოდი. თავს ვიმახსარავებდი, ვლახლანდარობდი, ვტაკიმახსარობდი, ტვინი გამეხრწნა! აფსუს, რა ხელოვანი, რა ტალანტი დავმარხე საკუთარი ხელით. დიას, საკუთარი ხელით დავმარხე ჩემივე ნიჭი და მასთან ერთად დავკარგე ადამიანური სახე. მშთანთქა, ჩამყლაპა ამ შავმა ორმომ. ამას აღრე ვერა ვგრძნობდი, მაგრამ დღეს... იქ ჩემს საგრძნობლო ოთახში რომ გამეღვიძა, უკან მოვიხედე და თვალწინ განვლილი სამოცდარვა წელი კედელივით ამეფარა. წამსვე დავინახე საკუთარი სიბერე. მორჩა, გათავდა. *(აჭირდა)* გაიღია სიცოცხლე! უკვე გაღმა ვარ გასული. არა და, რა ძალა მქონდა, რა ფერები, რა დიქცია, მიხრამხრა, რამდენი სიმი ჟღერდა ამ მკერდში! მაყურებელს სული ესუთებოდა. აბა, ერთი, ყური დამიგდე. ცოტახანს მაცალეთ... გავიხსენო. ურიელ აკოსტა.

„ივდით, ო, ივდით, ცხარე ცრემლებით დაწერილია
ამ ყვავილების ყოველ ფურცელზე
ჩვენი გრძნობები, მთელი ჩვენი გადასავალი.
მაგრამ რაც იყო – არასოდეს განმეორდება.
უღძობელ მხეცად მე ჩავთვლიდი ჩემ საკუთარ თავს,
რომ ჩემი სულის არ დავძლიო კვნესა-ჩივილი,
რომ საშინელი გზა არ გიჩვენო
და რომ არ გითხრა გულანდილად: „უნდა იცოდე,
შენ აქ მოგელის არჩევანი, იქნებ-დაღუპვა!“
შენ ხომ არ იცი, თუ რა მომელის;
გასამართლება, შეჩვენება, შემდეგ – განდევნა.
შეჩვენებულსა ნუ შეიყვარებ.
ეს შეჩვენება მიმჩნია მე ჩემს დიდებად,
მაგრამ უფლებას მე არ მივცემ ქვეყნად არავის,
რომ ჩემთან ერთად ეს დიდება გაიზიაროს“.

როგორია? მგონი, არა უშავდა, ყოველ შემთხვევაში, ცუდი არ იყო. მოზღვავდა, მოზღვავდა ტრიუმფით წაკითხული მონოლოგები. წარმოიდგინეთ, ღამეა, ბნელა. მოქუფრულ ციდან გრგვინვა ისმის, წვიმა რახუნობს და ელვა კვეთს ზეციურ სიღრმეს. ქარი ზუზუნებს. თითქმის წარღვნა და გრიგალია!

„იზუზუნე და იქროლე შენ, ქარო მსუსხავო,
უბერე, ვიდრე ღაწვნი ზედ არ ღაგასკლებიან!
გადმონთხიეთ, წყლისა ღვარნო, და შენც, გრიგალო,
წამოუბერე, წამოღვარე ზვირთნი ზღვისანი
და სრულად შთანთქე ეს ქვეყანა ძირით თხემამდე!
თქვენც, ელდაზედა უმაღლესნო ელვისა ცეცხლნო,
ზედ მოესიეთ ამ ჩემს მოხუც ჭალარა თავსა!...
გაანადგურე, განაბნივე და მტვრად აღგავე
თესლნი უმაღურთ ადამიანთ დამბადებელნი!

აქ ხუმარა მეუბნებოდა: „ნათლი, ა, ნათლი! ეხლა რა სჯობია;
მშრალ ჭერქვეშ წოლა, თუ ამ ავდარში დგომაო?“ გადარეული განა
იმას ყურს მივუგდებდი?!

„იჭექ-იქუხე, წვიმა ღვარნე, ცეცხლი აფრქვიე!
წვიმა, გრიგალი, ქარი, ცეცხლი, ჭექა, ქუხილი
ჩემი სისხლ-ხორცნი, ჩემი შვილნი როდი არიან?
თქვენ სტიქიონნო, მე არ გწამებთ ულმობელობას,
სამეფო ჩემი მე ხომ თქვენთვის არ მომიცია,
ხომ ჩემ შვილებად აროდეს არ მიწოდებიხართ!
მაშ, ეგ საზარო რისხვა თქვენი დამეცით თავსა!
აჰა, აქ ვდგევარ თქვენს წინაშე ქედმოდრეკილი,
ღონემიხდილი, შესაბრალი, მოძულებული,
მე – ბერიკაცი განდევნილი შვილთა ჩემთაგან!

აქ ისევ ხუმარა მეჩრებოდა: „იცი, ბიძიავ, ვისაც ეხლა
თავშესაფარებელი აქვს, იმას თავიც ჰქონია და იმ თავში –
ცოტაოდენი ტვინიც!“

ღიღი შექსპირი „მეფე ლირი“! უდიდესი ძალა და ნიჭი! გენიოსი!
არც მე ვიყავი ცუდი ამ როლში. „ჰამლეტიც“ უნდა გავიხსენო,
აქ დიალოგს შემოგთავაზებთ. გთხოვთ, ნუ შეგემლებათ, ჰამლეტს
ვთამაშობდი, გილდენსტერნს კი არა.

ჰამლეტი – „აი, სალაამურის დამკვრელნიც მოვიდნენ. აბა, ერთი, ეგ
სალამური მაჩვენე. (ვილდენსტერნს) მაშ, თქვენთან წამოვიდე?
რად მივლით გარს ისე, თითქოს ნადირი ვიყო და მახეში გაბმას
მიპირებდეთ?

გილდენსტერნი – ბატონო ჩემო, თუ ჩემი მოვალეობა მაკადნიერებს, ჩემი თქვენდამი სიყვარული თითქმის უზრდელობასაც მამბედვინებს.

ჰამლეტი – კარგად ვერ გავიგე, რა სთქვი. აბა, ეს სალამური დაუკარ.

გილდენსტერნი – დაკვრა არ ვიცი, ხელმწიფის შვილო.

ჰამლეტი – როგორც იყოს.

გილდენსტერნი – გარწმუნებთ, რომ არ ვიცი.

ჰამლეტი – გევედრები, დაუკარ.

გილდენსტერნი – ისიც არ ვიცი, ხელი როგორ მოვკიდო.

ჰამლეტი – ეს ისე ადვილია, როგორც სიცრუის თქმა. აი, ამ თვლებზე თითები ათამაშე, პირით სული ჩაჰბერე და ესეც საამოდ სასმენელ სამუსიკო ხმას გამოსცემს. აი, ხომ ხედავ, როგორ უნდა მოჰკიდო ხელი?

გილდენსტერნი – არ შემიძლიან ეგ საამოდ სასმენი ხმა გამოვაცემინო. მაგ საქმეში დახელოვნებული არა ვარ.

ჰამლეტი – ახლა ხომ ჰხედავთ, როგორი უღირსი და არად ჩასაგდები გგონივართ? თქვენ გინდათ, რომ მე თქვენი საკრავი ვიყო, ჩემი ხელში დაჭერა ადვილად მიგაჩნიათ; გინდათ, ჩემს საიდუმლოს გული ამოაცალოთ და ჩემის სულის სიმებს სათითაოდ ხმა ამოაღებინოთ... და ამ მცირე მუსიკის საკრავს კი, რომელიც წყაროა ჰარმონიისა, ამბობთ, ხმას ვერ ამოვადებინებო. როგორ? თქვენ გგონიათ, მე ამ პატარა სალამურზედ უფრო ადვილი დასაკრავი ვიყო! მიწოდეთ მე, რა საკრავის სახელიც გინდათ, მაგრამ ესეც იცოდეთ, რომ შეგიძლიათ გამაწვალოთ, რამდენიცა გსურთ და ჩემზე დაკვრას კი ვერ მოახერხებთ“. (*ხარხარებს და ტაშს სცემს*).

ბრავო! ბრავო! ბრავო! დიდებულია, დიდებული. სიბერე არა ის არ გინდა?! რა სიბერე, რის სიბერე? რა დროს სიბერეა? ეს სულელებმა მოიგონეს და მოჩმასხეს. ჩემი ყოველი ძარღვიდან და ნერვიდან ენერჯია შადრევანივით ჩქეფს. ეს განახლებაა, ახალგაზრდობა, სიცოცხლე! ტალანტთან სიბერეს რა ხელი აქვს? კი არ გავგიჟებულვარ... თუ ავაფრინე? ღმერთო, დამეხმარე, გონს მოვევო; უფალო, გადმომხედე მოწყალე თვალით. დამამშვიდე; სიმშვიდეს ეძებ? აი, სიმშვიდე და სინაზეც...

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“.

თუ გსმენიათ სხვა ამდაგვარი შედეგები? რა გამჭვირვალე სიჩუმეა:

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“.

გენიალურია! სადაც დიდი ხელოვნებაა, სადაც დიდი ნიჭია, სადაც ტალანტია, იქ არც სიბერეა, არც სიმართლევე, არც ავადმყოფობა. იქ სიკვდილიც კი უძლურია. *(ისევ ატირდა)* თუმცა... ჰანგები შემომელია. დასრულდა სიმღერაცა და ნიჭიც. გამოწურული ლიმონივითა ვგდივარ, ჟანგიანი მოღუნული ლურსმანივით ვიხუთები ძველმანების რკინის კოლოფში. ეგებ, ძალა მოვიკრიბო და შინ წავიდე. ტალანტი არა! მეფის ამალის წევრადაც აღარ ვარგვივარ, ამ როლისთვისაც დავბერდი.

„აწ კი მშვიდობით საუკუნოდ სულის სიმშვიდევე,
მშვიდობით, სპანო, ჯილოსანო, დიდნო ბრძოლანო,
თავმოყვარების სათნოებად გადამქცევენო!
მშვიდობით, ჩემის თავმომწონე ცხენის ჭიხვინო,
გულის აღმძვრელო დაფდაფებო, ბუკის მკვეთრო ხმავე,
ყურთა გამემირო სალამურო, სამეფო ღროშავ,
დაუდგომლობავ, მღელვარებავე დიდებულ ომთა,
ბრძოლის მშვენიებავე, სიამაყის თვალის მიმტაცო.
ოჰ, თქვენც მშვიდობით, მანქანანო სიკვდილის მბადნო,
რომელთ ყელიდამ გამოჰქუხს ხმა სმენად საშიში,
როგორც უკვდავის იუპიტერის საზარო გრგვინვა!
ოტელოს ჩარხი ბედუკუდმა გადატრიალდა!“.

ჩემი ბედი კი უკვე აღარც ტრიალებს, გაქვავდა, მორჩა. უჰ, დავიღალე, წავალ ჩემს ოთახში... ტანსაცმელს გამოვიცვლი და შინ წავალ; ალბათ, მელოდებიან. თუმცა რომ მელოდებოდნენ, აქაც მომაკითხავდნენ. ლოდინიც არის და ლოდინიც... ლოდინსაც გააჩნია. გააჩნია, ვის ელოდები, ან, უარესი – რას ელოდები. ოჰ, რა უზომოდ თავმოყვარე ვარ! ამ პატარა, ამწუთიერ ლოდინს გაუძლებდა კაცი,

მთელი ცხოვრება უფრო დიდი და საბედისწერო მოლოდინი სულს
რომ არ მიღევდეს და დაუყოვნებელ პასუხს რომ არ მოხოდეს:

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ, მერცხალიც ჭყვივის,
ბაღში ვაზი ობოლი,
მეტის ლხენითა სტირის,
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები.
მამულო, საყვარელო...

*(აქ ჩემს საყვარელ მსახიობს ვურჩევ, ბოლო სტრიქონი
გაითამაშოს. თუ ჩემი რჩევა არ ივარგებს, მაშინ წარმოთქვას. იმედია,
ეცოდინება).*